CHIATURA MANGANESE PRODUCTION IN GEORGIA AT THE BEGINNING OF THE 20 TH CENTURY

ჭიათურის მარგანეცის წარმოება საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში

Archil Kokhreidze
Doctor of History Senior Research Fellow at the Institute of History and Ethnology at the Ivane Javakhishvili
Tbilisi State University.
Tbilisi, Georgia.
ORCDID ID – 0000-0001-5938-1109
593 25-37-38; Markizarchil@gmail.com

Natia Mirianashvili
Doctor of Historical Sciences The LEPL National Archives of Georgia Head of the Department of Contemporary History at the Central Archives
Tbilisi, Georgia.
ORCDID ID- 0000-0002-5087-0042
577340583; natia.mirianashvli @gmail.com

Nodar Shoshiashvili
Doctoral Candidate Research Fellow at the Institute of History and Ethnology at the Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
Tbilisi, Georgia.
ORCID ID-0000-0002-7453-9258
593437486; nshoshia86@gmail.com

Abstract

Today, Georgia strives to maintain a worthy place in the world, to develop its economy, to establish close contacts with other states, to attract investors and tourists to the country.

In this regard, we think it would be relevant to find and publish archival materials that tell us how manganese mining began in the Georgian city Chiatura, in the early 20th century and the role of Georgian entrepreneurs and foreign firms in this process. In numerous archives of Georgia there are several funds of documents related to it. For ideological reasons, Soviet historiography neglected research on the subject. Based on this, we can say that finding and publishing in a single format of historical materials about the turnover of foreign capital in Georgia in this historical period, as well about the foreign concessions and investments, credits, trade relations and other issues, will help us to better understand the situation that then existed in the country. It also will enable us to learn more about the relevant legislation that regulated Georgian industry at that time.

Key words: Georgia, Chiatura, concession, manganese, joint-stock company.

არჩილ კოხრეიძე
ისტორიის დოქტორი ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
ORCID ID – 0000-0001-5938-1109
593 25-37-38; Markizarchil@gmail.com

ნათია მირიანაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივი
განყოფილების უფროსი
თბილისი, საქართველო
ORCID ID- 0000-0002-5087-0042
577 340583; natia.mirianashvli @gmail.com

ნოდარ შოშიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის მეცნიერი-თანამშრომელი
თბილისი, საქართველო
ORCID ID- 0000-0002-7453-9258
593437486; nshoshia86@gmail.com

აბსტრაქტი

ახლა, როცა დამოუკიდებელი საქართველო ცდილობს დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში, გაამლიეროს ეკონომიკა, დაამყაროს საქმიანი კავშირები სხვადასხვა ქვეყნებთან, მოიზიდოს ინვესტორები და ტურისტები, საჭირო და მნიშვნელოვანია ისეთი საარქივო მასალის გამოვლენა-გამოქვეყნება, რომელიც ასახავს ჭიათურის მარგანეცის წარმოების ისტორიას და მასთან დაკავშირებულ ქართველ მრეწველთა და უცხოურ ფირმათა როლს XX საუკუნის დასაწყისში. აღნიშნულ საკითხზე, საქართველოს არქივსაცავების ფონდებში დაცულ მრავალ ინფორმაციას საბჭოთა ისტორიოგრაფია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური კაპიტალის ბრუნვის, საკონცესიო და საინვესტიციო საკითხების, საკრედიტო და სავაჭრო ურთიერთობების და სხვ. დოკუმენტური ინფორმაციის თავმოყრა დაგვეხმარება გავაშუქოთ საკვლევი პრობლემის განვითარების ძირითადი ეტაპები, შევისწავლოთ ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, შედარებითი დახასიათების გზით ვუჩვენოთ როგორ რეგულირდებოდა უცხოური ფირმების საქმიანობა საბჭოთა პერიოდში და როგორი იყო ცენტრის (საკავშირო მთავრობის) როლი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ჭიათურა, კონცენსია, მარგანეცი , სააქციო საზოგადოება.

შესავალი

მარგანეცის მადნის ჭიათურის საბადო 1846 წელს აღმოაჩინა გერმანელმა გეოლოგმა აკად. ოტო ვილჰელმ ჰერმან აბიხმა, ხოლო საბადოთა ექსპლოატაცია 1879 წელს დაიწყო. ცნობილია აკაკი წერეთლის ღვაწლი ამ საქმეში, რომელმაც რეალურად შეაფასა სარგებელი, რასაც მარგანეცის მოპოვება მოუტანდა საქართველოს. მაშინდელი სპეციალისტების აღიარებით სხვაგან არსად მოიპოვებოდა მარგანეცის მადნის ესოდენ მაღალხარისხოვანი და ექსპლოატაციისთვის ასე ადვილი და ხელსაყრელი საბადო. იგი ექსპლუატაციაში შესვლისთანავე იქნა მიჩნეული მსოფლიოში სწორუპოვრად, ხოლო ჭიათურას ეწოდა „საქართველოს კალიფორნია, სადაც ბუნებას შეუკუმშავს 126 კვადრატულ ვერსზე უმდიდრესი შრეები საჭირო მადნისა“. (მარგიანი, 1968 :.37)

მარგანეცის მადნის საბადოთა იჯარით აღებასა და სამრეწველო ექსპლოატაციას იმთავითვე შეუდგნენ ქართველი თუ სხვა ეროვნების საქმოსნები. ჭიათურის მარგანეცისადმი დიდ ინტერეს ამჟღავნებდა მრავალი უცხო ქვეყნის წარმომადგენელიც. ჭიათურის მარგანეცის ამოღება და ექსპორტი სწრაფად იზრდებოდა, იგი თავიდანვე გახდა ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მეტოქეობის ასპარეზი; ხმა აღიმაღლეს გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ ადგილობრივი ძალების საშუალებით მრეწველობის განვითარებით. სერგეი მესხი გაზეთ დროებაში წერდა ;„ თუ ამდენი ხანი მოგითმენიათ, თუ ამდენი ხანი ეს შავი ქვა შავ ქვად ყრილა, ერთ-ორ წელიწადს, სანამ ყველაფერს დაწვრილებით და ბეჯითადა გაიგებდეთ, კიდევ ეყაროს. თქვენი მადანი ისეთი საგნისათვის არის საჭირო, რომ მას შემდეგში თუ არ მოემატება, დაკლებით მაინც არასდროს დააკლდება ფასი. “ (გაზეთი „დროება“, 1879: 248)

მეთოდები

კვლევა ეფუძნება წყაროთმცოდნეობით, ისტორიულ-შედარებით და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს, კვლევის დროს ძირითად პრინციპად აღებულია ისტორიზმის უნივერსალური მეთოდოლოგია, ფაქტებისა და მოვლენებისადმი ობიექტივისტური მიდგომის მეთოდი, დიალექტიკის უნივერსალური კანონები და კანონზომიერებანი.

შედეგები

ისტორიული წყაროების გაანალიზების გზით ნაჩვენებია საკვლევი პრობლემის განვითარების ძირითადი ეტაპები და ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა XX საუკუნის დასაწყისში.

მსჯელობა

1894 წელს ქართველმა მრეწველებმა და საბადოთა მფლობელებმა შექმნეს „კავკასიის მარგანეცის სამრეწველო ამხანაგობა“. იგი იყო არა სამრეწველო, არამედ მხოლოდ სავაჭრო გაერთიანება. ამხანაგობის წევრებს ეკრძალებოდათ მოპოვებული მადნის კერძოდ გაყიდვა, ასევე ამხანაგობის

თანხმობის გარეშე მადნის მოპოვების უფლების სხვაზე გადაცემა.

1896 წლის აპრილში მოწვეული იქნა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა პირველი (დამფუძნებელი) ყრილობა, 1897 წლის საგანგებო ყრილობაზე დამტკიცდა მრეწველთა ორგანიზაციის წესდება. მარგანეცის მრეწველებს თავის საქმიანობაში თითქოს თვითმმართველობა ენიჭებოდათ, მაგრამ უმაღლესი ნებართვის გარეშე მათ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ, და მათი თვითმართველობა შეზღუდული იყო.

მრეწველთა ყრილობის საბჭოს თავმჯდომარე 1896 წლიდან 1917 წლამდე გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), მოადგილე კი ივანე (კიტა) აბაშიძე იყო. თვითმმართველობის მუშაობაში ადგილობრივ მომპოვებელ მრეწველებთან ერთად მონაწილეობდნენ უცხოელი ექსპერტებიც.

1892 წელს ჭიათურის მარგანეცის ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში 50 % შეადგენდა. მომდევნო წლებში საქართველოს საკმაოდ ძლიერი კონკურენტები გამოუჩნდნენ ბრაზილიის, ჩილის, ინდოეთის, ესპანეთის, კუბის და სხვა ქვეყნების სახით. ჭიათურელი მრეწველები მომზადებულები რომ შეხვედროდნენ ყოველგვარ გართულებას, იწყებენ კონკრეტული ქვეყნების მარგანეცის მრეწვწლობის შესწავლას. 1901 წელს მრეწველთა ყრილობამ მიიღო დადგენილება სამთო ინჟინერ გიორგი დეკანოზაშვილის ბრაზილიასა და კუბაში მივლინების შესახებ. 1902 წელს გ. დეკანოზიშვილმა შეისწავლა ბრაზილიისა და კუბის მარგანეცის საბადოები. მის მიერ შეგროვილი ცნობების მიხედვით მარგანეცის მსოფლიო მოპოვება აჭარბებდა ამ მადანზე მეტალურგიის მოთხოვნილებას, რაც იწვევდა მადნის ფასის დაწევას. ჭიათურის მარგანეცი მარაგისა და ხარისხის მხრივ პირველ ადგილზე იდგა მსოფლიოში, თუმცა წარმოების ცუდი ტქნიკური აღჭურვილობა, გადატანის საშუალებათა მოუწყობლობა დიდ სიძნელეებს უქმნიდა წარმოებას. გ. დეკანოზიშვილს მიზანშეწონილად მიაჩნდა მსოფლიო მარგანეცის მრეწველთა შეკავშირება სინდიკატში, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. მსოფლიო ბაზარზე უშუალოდ გასვლისათვის საჭირო იყო ქართველ მრეწველთა რაიმე ფორმით გაერთიანება. გ. ზდანევიჩმა წამოაყენა სინდიკატის ჩამოყალიბების იდეა. შემუშავებული წესდების ძირითადი მუხლები ასეთი იყო:

1. მარგანეცის ამოღების და გასაღების რეგულირების მიზნით,აგრეთვე მარგანეცზე ნორმალური ფასისი დაწესების მიზნით, რაც საშუალებას მისცემს მრეწველებს დაფარონ წარმოების ხარჯები და მიიღონ ჩვეულებრივი სავაჭრო მოგება, ყალიბდება „კავკასიის მარგანეცის მრეწველთა სინდიკატი“.
2. სინდიკატში შესვლის უფლება აქვს ყველა ცალკეულ მრეწველს და მრეწველთა ჯგუფებს, რომლებიც ეწევიან მარგანეცის ამოღებას საკუთარი ან იჯარით აღებული საბადოებიდან.

6. წევრებს უფლება აქვთ მარგანეცი გაყიდონ დამოუკიდებლად, სინდიკატის სამმართველოს ნებართვის გარეშე... (ფონდი: 417: 201.)

1901 წლის ოქტომბერში გაფორმდა „ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ამხანაგობა“. მალე ამის შემდეგ ჩამოყალიბდა ამხანაგობა „შრომა“ და „იმედი“, 1902 წლიდან ზემოაღნიშნულმა ამხანაგობებმა ურთიერთშორის ხელშეკრულება დადეს და ჩამოაყალიბეს ერთიანი საზოგადოება „შავი

ქვა“. ამ საზოგადოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მისი მიზანი იყო მარგანეცის საქმის სწორად ორგანიზება და მისი ყიდვა-გაყიდვის ცენტრალიზაცია. ქართველი მრეწველები ერთად გამოდიოდნენ უცხოური ფირმების წინააღმდეგ. თუმცა უცხოელები ყიდულობდნენ ან იჯარით იღებდნენ საბადოებს და თანდათან მეტ როლს ასრულებდნენ მარგანეცის მოპოვებაში. მადნის მომპოვებელი უცხოური ფირმები თვითონვე აწარ-მოებდნენ მარგანეცის ექსპორტს მსოფლიო ბაზარზე. რაც შეეხება ქართველ მრეწველებს მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ახერხებდა მარგანეცის შორაპან-ფოთში ჩატანას და საზღვარგარეთ მათ ექსპორტს.

XX საუკუნის დამდეგიდან ჭიათურაში სამრეწველო საქმიანობა გართულდა. 1902 წლის 1 ნოემბერს საზოგადოება შავი ქვა რწმუნებას აძლევს გ. ზდანევიჩს გერმანულ ფირმა „მანგანსინდიკატთან“ მოსალაპარაკებლად. ეს მოლაპარაკება ხელშეკრულების გაფორმებით დამთავრდა. „მანგან-სინდიკატმა“ იკისრა ქართველ მრეწველთათვის ფინანსური დახმარების გაწევა, მალე ქართველ მრეწველთა საზოგადოება იძულებული გახდა ხელი მოეწერა „მანგანსინდიკატთან“ წინასწარი შეთანხმებისთვის.

1 საზოგადოება „შავი ქვა“ „მანგანსინდიკატას“ უფასოდ უთმობს მის მიერ ავანსირებულ მარგანეცის მადანს.

2. „შავი ქვა “ „მანგანსინდიკატს“ 3 წლის ვადით სარგებლობაში აძლევს თავის პლატფორმებს ჭიათურაში.

3. ქართველ მრეწველთა საზოგადოება „მანგანსინდიკატს“ სრულ საკუთრებასა და სარგებლობაში გადასცემს გერმანული ფირმის კაპიტალით შესყიდულ და იჯარით აღებულ საბადოებს.

4. ყველაფერ ამის სანაცვლოდ „მანგანსინდიკატი“ ვალდებულია უკან დაუბრნოს ქართველ მრეწველთა საზოგადოებას ხელშეკრულების გაფორ-მების დროს მისგან გარანტიის სახით მიღებული ერთი მლნ. მანეთის ღირებულების ვექსილები, რის შემდეგ ყველა ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად (ბენდიანიშვილი, 1967:107).

1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჩაიკეტა ბოსფორ-დარდანელის სრუტეები და ქართული მარგანეცი მოწყვეტილი აღმოჩნდა გასაღების ბაზრებისაგან . ამან გამოიწვია წარმოების კრიზისი, მარგანეცის ამოღება მინიმუმამდე შემცირდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოში გამოცხადდა დამოუკიდებლობა. ამ დროისათვის ჭიათურის საბადოთა 3/5 ქართველებს ეკუთვნოდათ, 2/5 კი უცხოელ კაპიტალისტებს. 1919 წლის 2 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი „უცხოეთში გასაზიდი შავიქვისათვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების შესახებ“ (ფონდი 360:6).

1919 წლის 29 ოქტომბერს ჭიათურის რაიონის 12-მა მარგანეცის მრეწველმა ფირმამ დააფუძნეს საზოგადოება, რომელშიც გაერთიანდა 146 კაცი. ქართველ მრეწველთა საზოგადოების შედარებით მსხვილი აქციონერები გახდნენ: ა. ჯაყელი, ი. ვარაზაშვილი, ს. ვარაზაშვილი, ი. ბერიძე, მ. მებუკე, ა. ქავთარაძე , დ. ღუღუნაშვილი და სხვა. ქართველ მრეწველთა აქციონერული საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეული იყო ნ. ნიკოლაძე, გამგეობის წევრებად - ა. ჯაყელი და ი. თოფურია. საზოგადოება

თავის თავზე იღებდა მარგანეცის მადნის ექსპორტს და რეალიზაციას. ამ საზოგადოების წევრებმა 1919 წლის 12 ნოემბერს შეთანხმება დადეს საქართველოს მთავრობასთან, რომლის თანახმადაც ვალდებულებას იღებდნენ წლის განმავლობაში ჩამოეყალიბებინათ ამხანაგობა ჭითურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოება - „ჩემო“. საზოგადოებას უნდა ეხელმძღვანელა წესდებით, რომელიც მიღებული იყო საზოგადოების საერთო კრებაზე და საქართველოს მთავრობის 1920 წლის 10 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული იყო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეველობის მინისტრის ს. ავალიანის მიერ (18 ივნისი 1920 წელი). წესდების პირველ პუნქტში წერია, რომ „საქართველოს საზღვრებიდან შავიქვის მადნეულობის გაზიდვაზე 1919 წლის 2 აგვისტოს კანონით დაწესებულ მონოპოლიის განსახორციელებლად ურთიერთობის საფუძველზე არსდება ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოება, (შემოკლებით „ ჩემო“) რომელსაც შეადგენენ ჭიათურის რაიონის შავი ქვის სამრეწველო ფირმები, გაურჩევლად მათი ქვეშევრდომობისა და ეროვნებისა.

შენიშვნა 1 : საზოგადოების დამფუძნებლებათ შავი ქვის სამრეწველო ის ფირმები ირიცხებიან, რომელთაც ქვემორე ამისა ხელი უწერიათ“ (ფონდი.360: 41)

აქვე მოგვყავს დამფუძნებლების სია:

1. ჭიათურის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოება: ს. ე. წერეთელი, ა.ა. ჯაყელი, ი.ს. მენაბდე;

2. სავაჭრო სახლი „ რ. ჯავახიშვილი და ამხ. -რ. ჯავახიშვილი;

3. სავაჭრო სახლი ძმ. ოჰანეზოვები - ზ. ოჰანეზოვი, ი. ოჰანეზოვი;

4. ს/ს „ აზეესტოპულო და ზაროკილლი“ - დ.ზაროკილლი;

5. ივანე ზაალის ძე სვანიშვილის რწმუნებული აკაკი ივანეს ძე სვანიშვილი;

6 ქრისტეფორე გიორგის ძე მანოლოპულო.

7. არისტიდ თემისტოკლეს ძე ავგერინოს რწმუნებული და პირადად ნიკოლოზ თემისტოკლეს ძე ავგერინო;

8. „ კავკასიის მარგანეცის “ სააქციონერო საზოგადოების რწმუნებული ევსევი დავითის ძე თოდუა;

9. ფერდინანდ დეზირის ძე ტაბურიო;

10. ივანე ივანეს ძე ვანდერტალენის რწმუნებული ფერდინანდ დე-ზირის ძე ტაბურიო;

11 ალფონს გზავის ძე სტორმსის რწმუნებული გიორგი გომერის ძე გომერი ;

12. „ფორვუდ და სელლარი“ს ფირმის რწმუნებული ვ.ი. დრინნანი;

13. გელზენკირხერის სამთამადნო სამრეწველო, სააქციონერო საზო-გადოების რწმუნებული ი.ს. პერსინაკი;

14.ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სიმონოვის რწმუნებული ელევთერი ივანეს ძე სალონიკიდი;

15. ამხანაგობა „ს. კირიაზიდი“ს და ამხ. რწმუნებული ელევთერ ივანეს ძე სალონიკიდი;

16. რწმუნებული ფირმის „ ფ. დიუპრე და ამხ.“ ლონდონში გიორგი ლუკას ძე რადოვიჩი;

17 . გიორგი ლუკას ძე რადოვიჩი;

18. „კავკასიის მადნეულობის ამხანაგობა განსაზღვრულ პასუხის-მგებლობით“ -ბ.ა. პაპავა;

19. მანუილ სტეფანეს ძე მანუილიდისი;

20. ს/ს. „ ძმ. ჩილინგირიანი“ - ს რწმუნებული სერგო ზაქარიას ძე ისაევი. შენიშვნა 2: დამფუძნებელნი და გამგეობა მოვალენი არიან საზოგადოებაში მონაწილედ მიიღონ ჭიათურის ყველა ის შავი ქვის სამრეწველო ფირმა, ვინც სურვილს განაცხადებს საზოგადო წესით საზოგადოებაში წევრად შესვლისა, მაგრამ გაზიდვაში წილს ფირმა იღებს მხოლოდ ამ გაზიდვის განაწილება-გადაჯგუფების შემდეგ, რაც უნდა

მოხდეს არაუგვიანეს სამი თვისა დღიდან განცხადების შეტანისა.. ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოებას მთავრობის მიერ

მინიჭებული ქონდა 1919 წლის 2 აგვისტოს კანონით დაწესებული სამო-ნოპოლიო უფლება საქართველოს საზღვრებიდან შავი ქვის გაზიდვისა, მას არ ქონდა ნება ეს უფლება გადაეცა სხვა პირისთვის ან დაწესებულებისთვის. თვითონ ამ უფლებით სარგებლობდა 20 წლის ვადით.

საზოგადოების საქმეებს განაგებდა : ა) მის მონაწილეთა (წევრთა) საზოგადო კრება, ბ) ბსაზოგადოების საბჭო და გ) გამგეობა.

საზოგადო კრება იყო უმაღლესო ორგანო, რომელიც წყვეტდა საზოგადოების ყველა საქმეს. საზოგადოების საბჭო შესდგებოდა თორმეტი პირისაგან, აქედან ორს ირჩევდა საზოგადო კრება სამი წლის ვადით, ხოლო ათს გზავნიდა მონაწილე ფირმები, ხოლო საზოგადოების გამგეობა შესდგებოდა საბჭოსაგან დანიშნულ პირთაგან, საბჭო განსაზღვრავდა მათ რიცხვს და მათი სამსახურის ვადას. (ფონდი 360:48).

საზოგადოების საქმიანობას მეთვალყურეობას უწევდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საზოგადოება „ჩემო“ აგრძელებდა თავის საქმიანობას. 1922 წლის 3 ივნისს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული იყო საზოგადოების ახალი წესდება, რომელშიც შეტანილი იყო უმნიშვნელო ცვლილებები. (ფონდი 1835: 2)

1921-1923 წლებში საზოგადოების თავმჯდომარე იყო ისიდორე ვარა-ზაშვილი. საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა სამამულო მრეწველობის დაცვა უცხოური ფირმების მოძალებისაგან, რადგან ჭიათურის საბადო ითვლებოდა ერთ-ერთ მნიშვნელოვნ საბადოდ მსოფლიო მაშტაბით და იქ მრავალი ქვეყნის ინტერესი იკვეთებოდა.

1923 წლამდე მარგანეცის წარმოება იყო მხოლოდ კერძო ფირმების ხელში, 1923 წელს საქართველოს სახალხო კომისარიატთან არსდება მარ-განეცის მრეწველობის სამმართველო, რომელიც 1923 წლის 24 ნოემბერს შევიდა საზოგადოება „ჩემოს“ შემადგენლობაში, ყველა ოპერაციაში მონაწილეობის უფლებით. (ფონდი1835: 2)

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობაზე 1923 წლის 30 დეკემბერს შ. ელიავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა: შავი ქვა ისეთი დარგია ჩვენი წარმოებისა, რომელზედაც დამყარებულია მთელი ჩვენი მომავალი ... ჩვენს პატარა

ტერიტორიაზე, ჭიათურაში გვაქვს 4½ მილიარდი ფუთი შავი ქვა. ამას, რასაკვირველია დამუშავება სჭირდება, მაგრამ შავი ქვა საქართველოს წარმოებას არ ხმარდებოდა, რადგან აქ არ იყო ისეთი წარმოება, რომრლიც შავ ქვას მოითხოვდა. ამიტომ იგი თავიდანვე უხოეთში გადიოდა. ეს არის ის განძი, რომლისთვისაც მრავალ ოქროს გაიღებენ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები. ჩვენ უაღრესად დაინტერესებული ვართ იმაში, თუ რანაირი ორგანიზაცია აწარმოებს ამ დიდ საქმეს და საერთოდ რა უნდა გვაკეთოთ შავი ქვის გარშემო". (ფონდი 284: 35)

მარგანეცის მრეწველობის განვითარების მიზნით საქართველოს მთავრობამ 1925 წლის ივნისში ჭიათურის მარგანეცი საკონცესიოდ გადასცა ამერიკულ ფირმას „ ვ. ა. ჰარიმან და კომპანიას". ამასთან დაკავშირებით 1925 წლი 21 ივლისს საზოგადოება „ ჩემოს" საერთო კრებამ მიიღო დადგენილება ლიკვიდაციი შესახებ, რისთვისაც შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია (სალიკვიდაციო კომისიის წევრები იყვნენ : გ.ა. მგალობლიშვილი, კ.ს. მოდებაძე, ა.ა. ჯაყელი, გ.ლ რადოვიჩი, ის. ს. ვარაზაშვილი; მოადგილეები გ.ს. ვაშაძე, ირ.ვ. წერეთელი, ი. მ.ზაქარიან, ა.ი. სვანიშვილი.), რომელმაც დაიწყო სალიკვიდაციო საქმიანობა 1925 წლის 25 ივლისს და დამთავრდა 1928 წლის პირველ ივლისს.

დასკვნა

ვვარაუდობთ, რომ კვლევის შედეგად თავმოყრილი დოკუმენტებიდან მიღებული ინფორმაცია დააინტერესებს საზოგადოების ფართო წრეებს, ვინაიდან ფაქტიურად დღემდე მასალათა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. ეს კი ქართულ საისტორიო მეცნიერებას, მთლიანად საქარ- თველოს ინტელექტუალურ პოტენციას გაამდიდრებს ახალი ცოდნით, ახალი ფაქტობრივი მასალით. ასეთი კვლევის შედეგები დაეხმარება არა მარტო სპეციალისტებს, არამედ დახმარებას გაუწევს საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურებს, დიპლომატებს, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ყველა მოქალაქეს. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ახალგაზრდა თაობისათვის - ეს გააძლიერებს ინტერეს ისტორიისადმი, ხელს შეუწყობს ახალი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების ფორმირებას, სადისერტაციო ნაშრომების შერჩევას და მათ განხორციელებას.

მადლიერება

პუბლიკაცია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (გრანტის N FR 21-7848, 2022-2024წწ.) - უცხოური კაპიტალი საქართველოში და დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციები XX საუკუნის პირველ მესამედში - ფარგლებში, რისთვისაც ავტორები მადლობას უხდიან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

bendianishvili a. (1963), kartuli erovnuli burzhuazia da utskhouri k'ap'it'ali ch'iaturis samrets'velo raionshi, metsnierebata ak'ademiis moambe, N 2 (ბენდიანიშვილი ა. (1963), ქართული ეროვნული ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი ჭიათურის სამრეწველო რაიონში, მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, N 2.

dek'anozishvili g.(1905), ocherk margancevoj promishlenosti Brazilii i ostrov Kuby (დეკანოზიშვილი გ. (1905) очерк марганцевой промишлености Бразилии и остров Кубы“).

margiani gr. (1968), samtamadno mrets'veloba da samrets'velo p'rolet'ariat'i revolutsiamdel sakartveloshi, tb. (მარგიანი გრ. (1968), სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში, თბ.).

gazeti „droeba“, (1879), N 248 , t'pilisi (გაზეთი „დროება“, (1879), N 248, ტფილისი).

sakartvelos tsent'raluri saist'orio arkivi (shemdegshi stssa), p.417, an.1 , sak. 361 (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფ.417, ან.1 , საქ. 361).

sakartvelos uakhlesi ist'oriis tsent'raluri arkivi (shemdegshi suitsa) p. 360, an.1, sak. 4 (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (შემდეგში სუიცა) ფ. 360, ან.1, საქ. 4).

pondi 1835, anatseri 1. sakme 57. saqartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arqivi. (ფონდი 1835, ანაწერი 1. საქმე 57). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი.).

pondi 284, anatseri 2. sakme 1. saqartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arqivi. (ფონდი 1835, ანაწერი 1. საქმე 57). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი.).

pondi 1835, anatseri 1. sakme 84. saqartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arqivi. (ფონდი 1835, ანაწერი 1. საქმე 84). საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი.).